

# პიროვნული ნიშნებისა და შფოთვის ურთიერთკავშირის დადგენა

ალისა შარმაზანოვი

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თინათინ ჭინჭარაული

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

## განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ალისა შარმაზანოვი, 24 ივნისი, 2019

## აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება შფოთვისა და პიროვნული ნიშნების ურთიერთკავშირის შესწავლას. ნაშრომში განხილულია საკითხის აქტუალობა ფსიქოლოგიის დარგში და მოყვანილია ამ საკითხთან დაკავშირებული კვლევები. ნაშრომი ჯეფრი გრეის (Gray, 1981) ბიოფსიქოლოგიურ თეორიას ეფუძნება, ხოლო საკვლევ ინსტრუმენტად გამოყენებულია კარვერისა და უაიტის (Carver & White, 1994) BIS/BAS სკალები. სკალები ზომავს თავის ტვინში არსებული სისტემების მგრძნობელობას, ეს სისტემებია: ქცევის შემაკავებელი სისტემა (BIS), ქცევის აქტივაციის სისტემის (BAS) დრაივის ქვეტიპი; BAS გართობის ძიების ქვეტიპი; BAS ჯილდოზე პასუხის ქვეტიპი. შფოთვის საკვლევ ინსტრუმენტად გამოყენებულია სპილბერგერის (Spielberger et al., 1983) სიტუაციური და პიროვნული შფოთვის საზომის (STAI) საქართველოსთვის ადაპტირებული ვერსია. კვლევის მთავარი მიზანი იყო პიროვნების განზომილებებსა და შფოთვის შორის კავშირის აღმოჩენა არა-კლინიკურ შერჩევაში. კვლევამ დაადასტურა, რომ შფოთვის აღმოცენება დაკავშირებულია პიროვნების BIS განზომილების აქტივაციასთან.

**საძიებო სიტყვები:** შფოთვა; პიროვნული შფოთვა; სიტუაციური შფოთვა; BIS; BAS; დრაივი; გართობის ძიება; ჯილდოზე პასუხი.

## **Abstract**

This study examined the relationship between anxiety and personality traits. First, we discuss why this subject is so important in psychology. Then we offer a brief review of already existing researches about this topic. The study is based on Gray's (1981) biopsychological theory of personality. We used Carver and White's (1994) BIS/BAS scales to assess personality traits. The scales measure the sensitivity of brain-based systems: Behavioral Inhibition System (BIS); Behavioral Activation System (BAS) – Drive subscale; BAS Fun Seeking subscale; and BAS Reward Responsiveness subscale. For measuring anxiety levels we used Spielberger's (Spielberger et al., 1983) State-Trait Anxiety Inventory (STAI), which is adapted for Georgian population. The main goal of this study was to examine whether there is a relationship between personality traits and anxiety in non-clinical sample. The results of the study suggested that occurrence of anxiety is significantly related to BIS sensitivity.

**Key words:** anxiety; trait anxiety; state anxiety; BIS; BAS; Drive, Fun Seeking; Reward Responsiveness.